დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი N1

ქ. დმანისი **2025 წლის 10 ნოემბერი**

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ორგანოს „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ შემადგენლობა განსაზღვრულია „დმანისის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 15 ნოემბრის N№108.108223191 ბრძანებით.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ორგანოს „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ შემადგენლობა:

1. ჯუმბერ კოპალიანი
2. ალმაზ ალაზოვი
3. რამილ ასლანოვი
4. ზაურ გრიგალაშვილი
5. ლია კვიციანი
6. ტაბრიზ ორუჯოვი
7. გურგენ გურჩიანი
8. ლეილი შარიფოვი
9. ეკა ოქრიაშვილი
10. ვიკა ყულიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: სხდომის თავმჯდომარე კობა მურადაშვილი, მერის პირველი მოადგილე და მოადგილეები, მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ორგანოს „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები: ჯუმბერ კოპალიანი, ალმაზ ალაზოვი, რამილ ასლანოვი, ზაურ გრიგალაშვილი, ტაბრიზ ორუჯოვი, გურგენ გურჩიანი, ეკა ოქრიაშვილი და ვიკა ყულიაშვილი.

მუნიციპალიტეტის მერმა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს გააცნო საბჭოს შექმნის არსი და მნიშვნელობა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ 86' - ე მუხლის შესაბამისად განსახილველად წარუდგინა დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი. საუბარი შეეხო მომავალ წელს განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტების განხორციელებას, სოციალურ და ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესებას და განათლების ხელშეწყობის დაფინასებების ზრდას. ხაზი გაესვა ახალგაზრდების საჭიროებებზე მორგებული პროგრამების დაფინანსებების ზრდას და სამოქალაქო ჩართულობის როლს და აღნიშნა, რომ მისთვის როგორც მერისთვის, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მოსაზრებები უაღრესად მნიშვნელოვანია.

აზრი გამოთქვეს: ჯუმბერ კოპალიანმა, ალმაზ ალაზოვმა, რამილ ასლანოვმა, ზაურ გრიგალაშვილმა, ტაბრიზ ორუჯოვმა, გურგენ გურჩიანმა, ეკა ოქრიაშვილმა და ვიკა ყულიაშვილმა. რომლებმაც განმარტეს, რომ გაცნობილნი არიან ბიუჯეტის ზოგად პრინციპებს.

„სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრების მიერ მოწონებული იქნა 2026 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები, ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების მიმართულებით 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ზრდა.

ეკა ოქრიაშვილმა აღნიშნა: მისასალმებელია შემდეგი ფაქტი, რომ დმანისი მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ხანდაზმულთა ღირსეული დაბერებისა და შინ მოვლის პროექტის თანადაფინანსების პროგრამა.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ დმანისი მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია უპატრონო ცხოველების (ძაღლი/კატა) მოვლითი ღონისძიებები.

ზაურ გრიგალაშვილი დაინტერესდა შიდა მუნიციპალურ გზებზე მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებით და აღნიშნა, რომ მისასალმებელია, რომ 2026 წლის ბიუჯეტში მნიშვნელოვნადაა გაზრდილი მსგავსი ტიპის ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის გამოყოფილი თანხები.

დმანისი მუნიციპალიტეტის მრჩეველთა საბჭომ გადაწყვიტა:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ 86' - ე მუხლის შესაბამისად მოწონებული იქნას დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი და დასამტკიცებლად წარედგინოს დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

სხდომის თავმჯდომარე: კობა მურადაშვილი

მრჩეველთა საბჭოს წევრები: ჯუმბერ კოპალიანი

ალმაზ ალაზოვი

რამილ ასლანოვი

ზაურ გრიგალაშვილი

ლია კვიციანი

ტაბრიზ ორუჯოვი

გურგენ გურჩიანი

ლეილი შარიფოვი

ეკა ოქრიაშვილი

ვიკა ყულიაშვილი